პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

შაბათი, 12 ნოემბერი, 1957 წელი
№ 135 (1149)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-14 წელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა





## დიდი ოქტომბრის უძლეველი დროშით

# სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ისტორიულ დღეს განსაკუთრებით საზეიმოდ და დიდებულად გამოიყურებოდა თავისი სადღესასწაულო მორთულობით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი. წითელი ტილოები, მწვანე გირლანდები ამშვენებენ ძველისძველ წითელ მოედანს, რომლისკენაც მიმართულია ამ დღეს მთელი პროგრესული კაცობრიობის ფიქრები და გრძნობები.

გრანიტის ტრიბუნებზე შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა დღით დამთავრებული საიუბილეო სესიის მონაწილეები, რუსეთის სფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, რევოლუციური ბრძოლების ვეტერანები, მინისტრები, საზოგადო მოღვაწენი, საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები, ლენინური პრემიის ლაურეატები, მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები.

წითელ მოედანზე არიან საბჭოთა ხალხის სტუმრები, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დღესასწაულზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოწვევით.

გრანიტის ტრიბუნებზე გაისმა მქუხარე ტაში, როცა მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ავიდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ა. ნ. კოსიგინი, მ. გ. პერვუხინი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად არიან უცხოეთის დელეგაციათა ხელმძღვანელები და წევრები.

კრემლის კურანტებმა ათჯერ დაჰკრეს. კრემლის მაცხოვრის კარიდან ღია მანქანით გამოდის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი. პარადის სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ს. მოსკალენკო უპატაკებს, რომ ჯარის ნაწილები მზად არიან პარადისათვის. თავდაცვის მინისტრი მიესალმება ჯარებს, ულოცავს მათ დღესასწაულს, შემდეგ ადის მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე და ამბობს სიტყვას.

ათასხმოვანი „ვაშა!“-თი უპასუხებენ ჯარები თავდაცვის მინისტრის სიტყვას. საარტილერიო სალუტის ზალპები უერთდება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ჰანგებს.

იწყება ჯარების საზეიმო მარში.

მწყობრად მოდიან სამხედრო აკადემიათა მსმენელები. მოდიან მოსკოვის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის წითელდროშოვანი სამხედრო სასწავლებლის კურსანტები, სახელოვანი მესაზღვრეები, საბჭოთა სამხედრო მეზღვაურები, პარადის ნორჩი მონაწილენი — სუვოროველები და ნახიმოველები.

მოედანზე მატულობს მოტორების გუგუნი. გამოჩნდნენ ჯავშანტრანსპორტიორები ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის სუვოროვის ორდენის წითელდროშოვანი გვარდიის მექანიზებული დივიზიის მეომრებითურთ, მოდიან მედესანტეები, მათ მოჰყვებიან ტანკები. მეომარი ტანკისტების წარმომადგენელია კანტემიროვკის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი გვარდიის სატანკო დივიზია. მოდიან ახალი სამხედრო მანქანები.

შეკრებილთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია საარტილერიო ნაწილების საზეიმო მარშმა.

პარადზე ნაჩვენები იყო ახალი სახეობის საარტილერიო შეიარაღების ნიმუშები, რომელიც რეაქტიული ძალის გამოყენების პრინციპს ემყარება. მოედანზე გაიარა მძიმე რეაქტიული არტილერიის კოლონამ. რეაქტიული არტილერიის სროლის სიმძლავრე და სიშორე, რომელმაც ტრიბუნების წინ ჩაიარა, ბევრად დიდია, ვიდრე „კატიუშა“ ყუმბარებისა.

არტილერიას ცვლიან რაკეტები. ჩვენ ახლა გვაქვს ყველა საჭირო რაკეტი. შექმნილია საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტი. ბალისტიკური რაკეტისათვის არ არსებობს დაბრკოლება. მათ შეუძლიათ ფრენა მეტად დიდ სიმაღლეზე და ზუსტად დაშვება დანიშნულ რაიონში.

განუზომლად გაიზარდა სამამულო ავიაციის ძლიერება.

სამხედრო პარადი დამთავრდა. დაიწყო მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია. დემონსტრაციას ხსნიან დედაქალაქის ფიზკულტურელები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას განასახიერებენ.

სპორტსმენების შემდეგ გაიარეს მოსკოველ პიონერთა კოლონებმა.

მოედანზე შემოვიდნენ კიროვის, მოსკოვის, ლენინის, კრასნაია პრესნიას, საბჭოთა, სვერდლოვის, ძერჟინსკის, შჩერბაკოვის, კუიბიშევისა და ბაუმანის რაიონების ქარხნების, ფაბრიკების, დაწესებულებების, მშენებლობების მედროშეები. კოლონების სადღესასწაულო გაფორმება დამაჯერებლად ასახავს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებებს. კომუნიზმისაკენ მტკიცედ მიმავალი თავისი ქვეყნისათვის დიდი სიამაყის გრძნობას იწვევენ თვითეულ ადამიანში ბრწყინვალე შედეგები, რომლებიც აღბეჭდილია ქსოვილებზე:

— სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა გადიდდა 33-ჯერ!

— მრეწველობის პროდუქციის მოცულობით სსრ კავშირს პირველი ადგილი უკავია ევროპაში და მეორე მსოფლიოში!

ყველამ ზევით მიაპყრო თვალი. უეცრად მოედანზე აუშვეს უჩვეულო ფორმის ყუმბარა. ყველამ იცნო საკონტინენტთაშორისო რაკეტი. რაკეტზე მკაფიოდ ჩანს წარწერა: დიდება საბჭოთა მეცნიერებას!

როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის მძაფრი პროგრესის სიმბოლოები, საზეიმო დღესასწაულზე ნაჩვენები იყო მსოფლიოში პირველი საბჭოთა ატომის ელექტროსადგურის, რეაქტიული თვითმფრინავ-გიგანტის, ავტომატური ბრძმედის, შორეული ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტრონის გამოსათვლელი მანქანების მოდელები, რომლებიც ცვლიან ათეულათასობით ადამიანის შრომას.

დიდი ოქტომბრის ორმოცი წლისთავის დღეს საბჭოთა ხალხი ძმურ სალამს უგზავნის ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის.

თავიანთ სადღესასწაულო დროშებს დემონსტრაციის მონაწილეებმა დააწერეს:

— სოციალიზმის გადაქცევა მსოფლიო სისტემად თანამედროვე ეპოქის მთავარი ნიშანია. დაე დღეგრძელობდეს და განმტკიცდეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა დიადი თანამეგობრობა!

* * *

სამხედრო პარადი და მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია წითელ მოედანზე შესანიშნავად ცხადყოფენ ლენინური იდეების, საბჭოთა ხალხის უდიდესი გამარჯვებების ზეიმს, მის უდიდეს ურყევ ძალას, მონოლითურ ერთიანობასა და დარაზმულობას მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო. ეს იყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის დემონსტრაცია, პარტიისა და ხალხისა, რომლებიც განუხრელად მიდიან წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! (საქდესი).

* * *

**სურათებზე:** ფიზკულტურელები და სპორტსმენები თბილისის მშრომელთა დემონსტრაციაზე 7 ნოემბერს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი და საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია

სიხარულითა და ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

ლამაზია სადღესასწაულოდ მორთული თბილისი. საზეიმო სანახავია ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი — რუსთაველის პროსპექტი, სადაც გაიმართა სამხედრო პარადი და თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

მთავრობის სახლის წინ აღმართულ ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, ი. ს. დოლიძე, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, ი. ი. ფედიუნინსკი, გ. ა. გეგეშიძე, თ. ბ. ჯანელიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ა. მ. ლაბახუა, ზ. ა. ქვაჭაძე, ა. ე. მელაძე, დ. ა. ივაშჩენკო.

დილის 10 საათია. ჯარები მოემზადნენ საზეიმო მარშისათვის. ვ. ი. ლენინის მოედნის მხრიდან ღია მანქანით გამოდის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი. მან ჩამოუარა ჯარებს, მიულოცა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავი.

ჯარების შემოვლის შემდეგ კ. კ. როკოსოვსკი ადის ტრიბუნაზე. იგი საქართველოს სსრ მთავრობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით მიესალმება და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს ულოცავს ოლქის ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ოფიცრებსა და გენერლებს, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს.



თბილისის გარნიზონის ჯარების პარადს იწყებს ოფიცერთა ნაკრები პოლკი. მას მოჰყვებიან სამხედრო სასწავლებელთა კურსანტები, მწყობრ რიგებად მოდიან ქვეითები, ტანკისტები, არტილერისტები, მფრინავები, მესაზღვრეები. ბევრი მათგანის მკერდს ამშვენებს საბრძოლო ჯილდოები.

ჯარების პარადი მთავრდება მექანიზირებული ნაწილების მსვლელობით. იწყება თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო დემონსტრაცია. მხიარული სიმღერებით პირველნი მოდიან პიონერები და მოსწავლეები. ბავშვებს მოჰყვებიან ლენინის რაიონის მშრომელები. მათ კოლონას წინ მიუძღვებიან რუსეთისა და საქართველოს რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი, ოქტომბრის რევოლუციის ვეტერანები.

სულ ახალ-ახალი კოლონები შემოდიან რუსთაველის პროსპექტზე. მოდიან სტალინის, ოქტომბრის, კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის, 26 კომისრის სახელობის რაიონების მშრომელნი. დემონსტრანტებს მოაქვთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, ლოზუნგები, პლაკატები. დიაგრამები მოგვითხრობენ საქართველოს მშრომელთა წარმატებებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს 10 თვის საწარმოო გეგმა და გეგმის გადამეტებით 465 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

მოდიან თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები — სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობა. რესპუბლიკის 19 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 40 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი.

ტრიბუნას ჩაუარეს ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა — მეცნიერებმა, მწერლებმა, მსახიობებმა, მხატვრებმა. პარტიამ და მთავრობამ შექმნეს ყველა პირობა რესპუბლიკაში მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო დემონსტრაციამ ცხადყო ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების აყვავება, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო საქართველოს მშრომელთა მტკიცე დარაზმულობა.

* * *

**სურათზე:** თბილისელი ნიჩბოსნები დემონსტრაციაზე.

# დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის დღესასწაული საზღვარგარეთ

ხალხთა ძმური ერთიანობის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მათი დარაზმვის შემდგომი განმტკიცების ნიშნით მიმდინარეობდა საზღვარგარეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაული.

დიდი აღმავლობით აღნიშნეს ოქტომბრის სახელოვანი წლისთავი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა. პეკინში გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება. კრებაზე დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლიუ შაო-ციმ.

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა 200-ათასიანი მიტინგი გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში. მიტინგში მონაწილეობა მიიღო დასავლეთ ბერლინის ათასობით მცხოვრებმა. მიტინგზე გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის საოლქო ორგანიზაციის პირველი მდივანი გ. კიფერტი, რომელმაც ბერლინის მოსახლეობის სახელით მიულოცა საბჭოთა კავშირის ხალხებს დიადი დღესასწაული—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი. მიტინგის ბოლოს შესრულებული იყო პარტიული ჰიმნი — ინტერნაციონალი.

ფართოდ აღნიშნეს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავი ბულგარეთის მშრომელებმა. შესანიშნავი თარიღის წინა დღეს, 6 ნოემბერს, სოფიაში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მოიწვიეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სამამულო ფრონტის ეროვნულმა საბჭომ, ბულგარეთ-საბჭოთა მეგობრობის საყოველთაო სახალხო კომიტეტმა. მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახებ გააკეთა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა რაიკო დამიანოვმა. კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

— 7 ნოემბერს ბულგარეთის დედაქალაქში მოეწყო მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია.

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა მასობრივი მიტინგები გაიმართა რუმინეთის ბევრ ქალაქში. ბუქარესტში მიტინგს დაესწრო 100 ათასამდე კაცი. რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რუმინეთის მთავრობისა და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სახელით და დავალებით რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა გ. აპოსტოლმა მხურვალედ მიულოცა შეკრებილთ მშრომელთა დიდი დღესასწაული.

100 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა სადღესასწაულო საზეიმო დემონსტრაციაში ტირანაში.

როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული აღინიშნა 7 ნოემბრის დღე მთელ მონღოლეთში. ულან-ბატორში ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად მოეწყო სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია.

მშრომელთა საზეიმო კრებები და ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა ვარშავაში, ბელგრადში, ფხენიანში, ხანოიში, რანგუნში, ოსლოში, პარიზში, ტოკიოში, რომში და ბევრ სხვა ქალაქში.

საბჭოთა საელჩოებში საზღვარგარეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყო დარბაზობები, რომლებსაც დაესწრნენ უცხო სახელმწიფოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები (საკდესი).

## სვერდლოვსკსა და კიევში

**სვერდლოვსკი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).** 10 ნოემბერს ი. მ. სვერდლოვის სახელობის კულტურის სახლში საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის XXV საჭადრაკო ჩემპიონატის სვერდლოვსკის ნახევარფინალური ტურნირი.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოეწყო კენჭისყრა. მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. ოსტატი ბ. გურგენიძე (თბილისი), 2. ოსტატი გ. ბორისენკო (სვერდლოვსკი), 3. ოსტატი ა. ლუტიკოვი (ჩელიაბინსკი), 4. ოსტატი ი. კოცი (სტალინო), 5. გროსმაისტერი ი. ავერბახი (მოსკოვი), 6. ოსტატი ლ. არონსონი (ლენინგრადი), 7. ოსტატობის კანდიდატი ქ. ხანოვი (აშხაბადი), 8. ოსტატობის კანდიდატი ა. გიპსლისი (რიგა), 9. საერთაშორისო ოსტატი გ. ილივიცკი (სვერდლოვსკი), 10. ოსტატი ი. იუხტმანი (მოსკოვი), 11. ოსტატობის კანდიდატი ტ. პროხოროვიჩი (მოსკოვი), 12. საერთაშორისო ოსტატი რ. ხოლმოვი (ვილნიუსი), 13. ოსტატი ლ. პოლუგაევსკი (კუიბიშევი), 14. ოსტატობის კანდიდატი ვ. ბაგიროვი (ბაქო), 15. ოსტატი მ. მუხიტდინოვი (ტაშკენტი), 16. ოსტატობის კანდიდატი ბ. ვლადიმიროვი (ლენინგრადი), 17. საერთაშორისო ოსტატი ვ. სიმაგინი (მოსკოვი), 18. ოსტატი ვ. ტარასოვი (ომსკი), 19. გროსმაისტერი ვ. კორჩნოი (ლენინგრადი), 20. ოსტატობის კანდიდატი ო. კამინსკი (ლენინგრადი).

ამ შეჯიბრებიდან ფინალში დაიშვება პირველ ხუთ ადგილზე გამოსული მოჭადრაკე. გუშინ შედგა I ტური.

• • •

**კიევი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).** უკრაინის დედაქალაქის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა საბჭოთა კავშირის XXV საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის დაწყებას, რომელიც 10 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა მასწავლებელთა სახლში. ტურნირში კენჭისყრის შედეგად მონაწილეობენ: 1. ოსტატი ი. ნიკოლაევსკი (კიევი), 2. ოსტატობის კანდიდატი ა. რეშკო (ლენინგრადი), 3. ოსტატი ა. ჩისტიაკოვი (მოსკოვი), 4. ოსტატი ე. ვასიუკოვი (მოსკოვი), 5. ოსტატი ა. მიროშნიჩენკო (კიევი), 6. ოსტატობის კანდიდატი ა. ბლაგიძე (თბილისი), 7. გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), 8. ოსტატი ვ. შიანოვსკი (კიევი), 9. გროსმაისტერი ე. გელერი (ოდესა), 10. ოსტატი ა. ბანიკი (კიევი), 11. ოსტატობის კანდიდატი გ. ბასტრიკოვი (სვერდლოვსკი), 12. საერთაშორისო ოსტატი რ. ნეჟმეტდინოვი (ყაზანი), 13. ოსტატი მ. ბონჩ-ოსმოლოვსკი (მოსკოვი), 14. საერთაშორისო ოსტატი ვ. მიკენასი (ვილნიუსი), 15. ოსტატი ი. სახაროვი (კიევი), 16. ოსტატი ა. ხასინი (მოსკოვი), 17. გროსმაისტერი ა. კოტოვი (მოსკოვი), 18. საერთაშორისო ოსტატი ს. ფურმანი (ლენინგრადი), 19. ოსტატი ა. სოკოლსკი (მინსკი), 20. გროსმაისტერი ი. ბოლესლავსკი (მინსკი).

ამ ნახევარფინალიდან ფინალში დაიშვება ექვსი გამარჯვებული. გუშინ შედგა პირველი ტური.

# ქიუღ რიმეს თასზე

3 ნოემბერს შედგა უკანასკნელი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში ევროპის მეექვსე ჯგუფში. პოლონელებმა თავიანთ დედაქალაქში ანგარიშით 4:0 დაამარცხეს ფინეთის ნაკრები გუნდი.

ამჟამად ჯგუფის გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 3 | 0 | 1 | 16:3 | 6 |
| პოლონეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 6 |
| ფინეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:19 | 0 |

მსოფლიო პირველობის გათამაშების დებულების თანახმად პირველი ადგილის გამორკვევისათვის ჯგუფში ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს გატანილ და მიღებულ ბურთებს, ე. ი. მეექვსე ჯგუფში გამარჯვებულის გამოსავლინებლად დაინიშნება დამატებითი მატჩი სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდებს შორის.

მატჩი შედგება ნეიტრალურ მინდორზე ნოემბრის თვეში.

ევროპის ზონის მესამე ჯგუფში 3 ნოემბერს ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთისა და ნორვეგიის გუნდები (მატჩი შედგა სოფიაში). ბულგარელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ გაიმარჯვეს კიდეც დიდი ანგარიშით — 7:0.

დღეისათვის ამ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 4 |
| ბულგარეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 11:7 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:10 | 2 |

დარჩენილ ბოლო მატჩში უნგრეთისა და ნორვეგიის გუნდებს შორის უნგრელებს ერთი ქულაც ყოფნით პირველი ადგილის გასანაღდებლად.

ბუქარესტში, 23 აგვისტოს სახელობის სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი მეშვიდე ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ რუმინეთისა და საბერძნეთის გუნდები. მატჩი დამთავრდა რუმინელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0. თუ დარჩენილ შეხვედრაში იუგოსლავიის გუნდთან, რომელიც 17 ნოემბერს შედგება ბელგრადში, რუმინელები ითამაშებენ ფრედ მაინც, მათ განაღდებული აქვთ ადგილი ფინალში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 5 |
| იუგოსლავია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

# „ა" კლასში გადასასვლელად

გამოვლინდა „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდების კიდევ ერთი, უკანასკნელი პრეტენდენტი „ა" კლასში გადასასვლელად. ესაა სტანისლავის „სპარტაკი" (მეორე ზონა). ამრიგად, „ავანგარდი" (ლენინგრადი), „სპარტაკი" (სტანისლავი) და ოფიცერთა სახლის სპორტკლუბის გუნდი (თბილისი) ფინალურ ჯგუფში გაითამაშებენ „ა" კლასში გადასვლის უფლებას. თამაშები ჩატარდება ქ. ტაშკენტში.

მოგვყავს გათამაშების კალენდარი:

17 ნოემბერი. ოსკ (თბილისი) — „ავანგარდი" (ლენინგრადი).

19 ნოემბერი. „სპარტაკი" (სტანისლავი) — ოსკ (თბილისი).

22 ნოემბერი. „ავანგარდი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (სტანისლავი).

25 ნოემბერი. „ავანგარდი" (ლენინგრადი) — ოსკ (თბილისი).

28 ნოემბერი. ოსკ (თბილისი) — „სპარტაკი" (სტანისლავი).

1 დეკემბერი. „სპარტაკი" (სტანისლავი) — „ავანგარდი" (ლენინგრადი).

# სეზონი გრძელდება

ახალგაზრდა ფეხბურთელთა ოსტატობის შემდგომი ამაღლებისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდისათვის კანდიდატების შერჩევის მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გადაწყვეტილებით ბაქოში, ერევანსა და თბილისში ჩატარდება მატჩები „ბ" კლასის გუნდების საუკეთესო მოთამაშეთაგან შედგენილ გუნდებს შორის (პირველი და მეორე ნაკრები გუნდები ყოველი ზონიდან). მოთამაშეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს.

პირველი ნაკრები გუნდები ითამაშებენ ბაქოში, მეორეები — ერევანში. ამის შემდეგ საუკეთესო მოთამაშეთაგან შედგება „ბ" კლასის 2 ნაკრები გუნდი (18 კაცის შემადგენლობით თვითეული), რომლებიც ჩაატარებენ საკონტროლო მატჩებს თბილისში. პირველი ნაკრები ეთამაშება თბილისის „დინამოს", მეორე —თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდს.

საკონტროლო მატჩების შემდეგ გამოვლინდება „ბ" კლასის მოთამაშეთაგან შემდგარი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის საბოლოო შემადგენლობა, რომელიც შეხვდება საქართველოს ნაკრებ გუნდს.

18 საუკეთესოში შესული მოთამაშეები მიიღებენ სპორტის ოსტატის წოდებას.





# უძლიერესი 21.140 გუნდს შორის



# გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ნოემბრისათვის ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მ. | 22 | 16 | 4 | 2 | 49:15 | 36 |
| ცსკ მო | 22 | 13 | 1 | 8 | 51:31 | 27 |
| „ტორპედო" | 19 | 10 | 5 | 4 | 43:20 | 25 |
| „ლოკომოტ". | 19 | 11 | 3 | 5 | 36:24 | 25 |
| „სპარტაკი" მ. | 20 | 10 | 5 | 5 | 36:24 | 25 |
| „დინამო" კ. | 21 | 8 | 7 | 6 | 28:27 | 23 |
| „დინამო" თბ. | 21 | 8 | 4 | 9 | 27:33 | 20 |
| „შახტიორი" | 22 | 7 | 5 | 10 | 10:35 | 19 |
| „ბურევესტ". | 22 | 4 | 10 | 8 | 24:36 | 18 |
| „ზენიტი" | 22 | 4 | 7 | 11 | 23:41 | 15 |
| „კ. სოვეტ". | 22 | 2 | 8 | 12 | 9:32 | 12 |
| „სპარტ". მნ. | 22 | 1 | 7 | 14 | 11:40 | 9 |

• • •

მოსკოვი. 8 ნოემბერი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის გუნდები „დინამო" და „ტორპედო".

მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

• • •

მოსკოვი. 9 ნოემბერი. ჩემპიონატის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი".

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „სპარტაკმა".

• • •

სტალინო. 5 ნოემბერი. გათამაშების უკანასკნელი მატჩი ჩაატარა სტალინოს „შახტიორმა", რომელმაც თავის მინდორზე მიიღო კიევის „დინამო".

მატჩი მოიგო „შახტიორმა"—2:0.

... მატჩი დამთავრდა.

ფეხბურთის საკავშირო სექციის თავმჯდომარემ ამხ. გრანატკინმა თასი გადასცა გამარჯვებულებს და მიულოცა სპორტის ოსტატის მაღალი წოდების მიღება. მაყურებელთა მქუხარე ტაშისა და შეძახილების ქვეშ თასის მფლობელმა — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა საპატიო წრე შემოიარა მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე.

ეს ტრამვაელ ფეხბურთელთა ბრწყინვალე გამარჯვებაა. ქების ღირსია მთელი კოლექტივი, ქების ღირსია მისი მწვრთნელი ს. სიხარულიძე, ვინაიდან უძლიერესის სახელის მოპოვება ფაბრიკების, ქარხნების, უმაღლესი სასწავლებლების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, არტელების, საწარმო-დაწესებულებათა 21.140 გუნდს შორის ძნელი და უაღრესად სახახელო საქმეა.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა კოლექტივმა შესანიშნავი სადღესასწაულო საჩუქარი ჩამოუტანა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობას. გუნდი მთელი პასუხისმგებლობით, სრული სერიოზულობით მოემზადა თასის გათამაშებისათვის და მან დამსახურებულად მოიპოვა საპატიო პრიზი.

ვინ იცავდა გუნდის ღირსებას ამ შეჯიბრებაში, ვინ არიან ისინი, ვინც ასე წარმატებით იბრძოდნენ ფეხბურთის მწვანე მინდვრებზე?

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდში თამაშობენ წარმოების მოწინავე მუშები, ხარატები, შემდუღებლები, მძღოლები, მეტრანსპორტეები, ისინი, ვინც ისევე ერთგულად დგანან თავიანთ სამუშაო პოსტზე, როგორც სათამაშო მოედანზე. მათ არ იციან სიზარმაცე და გულგრილობა არც შრომაში, არც სპორტში.

განსაკუთრებით ძნელი იყო ფინალური მატჩი ლენინგრადის „ზენიტის" საკლუბო გუნდთან, მაგრამ თბილისელებმა დიდი ალმავლობით ჩაატარეს იგი და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

თასზე ამოიტვიფრა პირველი წარწერა — „ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო. თბილისი".

ღირსეული ჯილდო ღირსეულთათვის!

სურათებზე: მარცხნივ — თასი მოგებულია. გამარჯვებულები ულოცავენ ერთმანეთს. ზევით — თასის მფლობელები ფინალის შემდეგ. ქვედა რიგში — თ. ასლამაზოვი, ს. ნაროზაშვილი, თ. გოჩალეიშვილი (გუნდის კაპიტანი), ი. სემიონოვი, ი. გალოიანი. ზედა რიგში — ს. სიხარულიძე, (გუნდის მწვრთნელი), გ. ქაცარავა, ფ. იაკუშევი, მ. ტომარაძე, რ. ბარანოვი, ვ. ირემაძე, ლ. დოლიძე. მარჯვნივ — ფინალური მატჩის მომენტი. შუაში — ტრამვაელთა მიერ მოპოვებული თასი.

ფოტოები სპორტის ოსტატ
ე. დავთიანისა



## ცსკ მო ინგლისში

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის ფეხბურთელთა გუნდმა დაამთავრა თავისი ტურნე ინგლისში.

როგორც ცნობილია, არმიელებმა წააგეს პირველი მატჩი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან" — 5:6. 4 ნოემბერს ისინი ქ. ბოლტონში შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს „ბოლტონ უონდერერსს" და კვლავ განიცადეს დამარცხება ანგარიშით 1:3.

ბოლო მატჩი ცსკ მო-ს ჰქონდა ლონდონის „ჩელსთან". იგი დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

## რესპუბლიკურ კომიტეტში

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა თბილისის ოსკ-ის ფეხბურთელებს: ა. ლ. ნორაკიძეს, დ. ნ. ხუნდაძეს, თ. ლ. მელაშვილს, ი. დ. კურტანიძეს, კ. ნ. ბეგლარიანს, ბ. შ. სიჭინავას, გ. დ. კვირიკველიას, ვ. პ. ივანოვსა და რ. ვ. ჭანჭალეიშვილს.

ა. ჰამადანი




დიდი გამოცოცხლებაა „მედისონ სკვერ გარდენში“. აუარებელი ხალხი მიისწრაფის „მედისონ სკვერ გარდენისაკენ“, რათა დაესწროს თავისებურ ამერიკულ კრივს—„რესლინგს“.

„მედისონ სკვერ გარდენის“ შესასვლელთან ათასი ადამიანი ირევა. მიუხედავად ქარისა, ჰაერში თამბაქოს სქელი კვამლი ტრიალებს. ჯამბაზებივით იკლაკნებიან მარდი ბიჭები და ისე მიძვრებიან მოზღვავებულ ხალხში. ყველაზე მეტად ისინი შესასვლელთან და სალაროსთან არიან შეჯგუფულნი; თვალებით გამოხატავენ მწუხარებას, აღტაცებას და შურს; თვალყურს ადევნებენ შემსვლელებს, ხელებში მისჩერებიან და ცდილობენ გაუსხლტნენ კონტროლიორს უბილეთოდ.

აი, ზორბა პოლისმენი შეუბრალებლად მოათრევს ერთ მათგანს, თორმეტი წლის ბიჭს, რომელმაც ვერ მოახერხა გაძრომოდა კონტროლიორს. პოლისმენმა უხეშად გაარღვია ბრბო, ფეხზე დააყენა თაღლითი ბიჭი და ერთი მაგრად უთავაზა მძიმე ჩექმიანი ფეხი. ბავშვმა ტკივილისაგან წამოიყვირა და მიწას დაენარცხა. პოლისმენი ზანტად შემოტრიალდა და ნელი ნაბიჯით წავიდა უკან. რამდენიმე ბიჭი გარს შემოერტყა დაზარალებულს. ფეხზე წამოაყენეს, მოაცილეს შარვალზე მიწებებული პაპიროსის ნამწვავები და ვაშლის ნაფცქვენები. ზანგას ბიჭი მონდომებით იწმენდდა ნაჭრით სისხლს, რომელიც ცხვირიდან თქრიალით სდიოდა პატარა „გულშემატკივარს“. ზღვა ხალხში კიაფობდნენ პოლისმენების თავები. ისინი იდგნენ გაუნძრევლად, ტუჩებმოკუმული.

შურიანი თვალებით შესცქერიან ბილეთის მფლობელებს არა მარტო ბავშვები, არამედ მოზრდილებიც. ასობით მამაკაცი და ქალი დაფუსფუსებს ანგარიშმიუცემლად შენობის შესასვლელთან და სალაროსთან იმის მოლოდინში, რომ ვინმე ფილანტროპი ფართოდ და სტუმართმოყვარულად გაუღებს ფარულ კარებს, რომელიც რინგს ფარავს...

დღევანდელი საღამოს მშვენებაა ჩემპიონების „ბრძოლა“ — იტალიელ ჯიმ ლონდოსსა და ამერიკელ ფლოიდ მარშალს შორის. ამ მატჩს წინ უძღოდა ხანგრძლივი სარეკლამო ხმაური პრესაში. გაზეთები დაწვრილებით განიხილავდნენ ჩემპიონების შანსებს გამარჯვებაზე, წინასწარ აფრთხილებდნენ მაყურებელს. „რამდენიმე წუთის უკიდურესად მწვავე განცდების შესახებ“.

რინგზე გამოდიან არბიტრი და მსაჯები. გაჰყვირიან რეპროდუქტორები:

— დღეს „რესლინგის“ ჩემპიონი ფლოიდ მარშალი გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვდება იტალიის ჩემპიონ ჯიმ ლონდოსს.

ტაშის გრიალი და შეძახილები ფარავს არბიტრის ხმას.

მაყურებელი გულგრილად და უხალისოდ შესცქერის რიგით მოჭიდავეებს. მხოლოდ მარშალს და ლონდოსს ახსენებენ. ცხარე კამათი თავბრუს ახვევს „გულშემატკივართ“. დარბაზი ორ ნაწილადაა გაყოფილი — ერთი ლონდოსის მხარეა, მეორე — მარშალისა

მაყურებელთა უმრავლესობა დარწმუნებულია მარშლის გამარჯვებაში.

წინა რიგში უცხვირპირო მოხუცი ხმამაღლა ლაპარაკობს

— თუ მარშალი ყურებს დააძრობს ლონდოსს, მაშინ იტალიელი აუცილებლად დაწვება ბეჭებზე. მარშალი ისევე დააძრობს ყურებს ლონდოსს, როგორც გერმანელ დორფს გაუკეთა. აი ნახავთ.

„რესლინგი“ არც კრივია და არც ჭიდაობა. ეს თავისებური, შედარებით უფრო სასტიკი, ბრძოლაა. „რესლინგში“ მიღებულია ყველა ილეთი: დარტყმა თავით, მხრით, იდაყვით, ხელის კიდურით. აკრძალულია მხოლოდ სახეში მუშტის დარტყმა. ამ ბრძოლაში ჩვეულებრივი მოვლენაა ხელის და ფეხის გადატეხა, თავის სარქველის შენგრევა, ყურების დაძრობა, თითების გადამტვრევა. სიკვდილიანობა „რესლინგში“ ჩვეულებრივი მოვლენაა, რაზეც დამნაშავე პასუხს არ აგებს, პირიქით, იხვეჭს სახელს და დიდების შარავანდედით იმოსება: „უძლეველი“, „ნიუ-იორკის რისხვა“, „გოლიათი ჩიკაგოდან“, „წყნარი ოკეანის ზვიგენი“... ასე უწოდებენ გამარჯვებულს

... მაყურებელი თავდავიწყებამდე ხმაურობს, სტვენს, ჰყეფს, კნავის, გაჰყვირის სხვადასხვა ხმაზე. იწყება გადამწყვეტი ბრძოლა. გამხეცებულია მაყურებელი, გაცოფებულნი არიან მოჭიდავენი. ცხოველური, სისხლიანი ჟინით ალტყინებულთ ძალა აღარ შესწევთ ტაში შემოჰკრან. მოჰყვებიან ღრიალს, სტვენას, ერთმანეთის ცემას, ისტერიკულ ტირილს და კივილს. საკმარისია ერთხელ დაესწროთ „რესლინგის“ მატჩს, რომ არასოდეს დაგავიწყდეთ გამხეცებულ ადამიანთა ეს სცენა...

„რესლინგში“, როგორც წვეთი წყალში, ბათილდება ამერიკის სულიერი კულტურის ყველა მიღწევა. მატჩზე მოდიან არა ათობით და ასობით, არამედ ათეულ ათასობით.

ჩემს გვერდით მჯდომი მისტერი ხმამაღლა სდებს სანაძლეოს.

— ოცი—მარშალის მხარეზე!

— თანახმა ვარ!

— ათი — ლონდოსის მხარეზე..

სანაძლეოს დებენ ყველგან. ხმამაღლა გაჰყვირიან ნიძლავის ოდენობას. არ იშურებენ ფულს. აღმერთებენ თავიანთ „ვარსკვლავებს“. უმრავლესობა მარშალის მხარეზეა. აბა როგორ? ფლოიდი არა მარტო საუკეთესო „ფორმაშია“, არამედ იგი ამერიკელიცაა!

ლონდოსს ზიზღით ეპყრობიან, აშუჩად იგდებენ, უწოდებენ „ხარს“, „მემაკარონეს“. ლონდოსი იტალიელია, ამაშია მისი არაპოპულარობის საიდუმლოება.

მქუხარე ოვაციებით ხვდებიან მარშალს. ლონდოსს — ხმაურით, ცინიკური შეძახილებით. წინადადებას აძლევენ „წინასწარ დანებდეს“, „შეიბრალოს თავისი სიცოცხლე“. ვიღაც გააფთრებული გაჰყვირის:

— ლონდოს, მოასწარი დაზლევა?!

მოჭიდავეები დიდხანს უტრიალებენ ერთმანეთს, თვალით ზომავენ, მაყურებელი ნერვიულობს, ვიღაცა ღრიალებს·

— გეყოფათ მაიმუნობა, იჩხუბეთ.

პარტერიდან გაისმა ვიღაცა ბიჭის გამყინავი ხმა:

— ფული გადაგვიხდია, იჩხუბეთ!.. კისერი მოუგრიხე მაგას, მარშალ!

პირველი დარტყმა მარშალმა აგემა ლონდოსს მხრით ყელში. ლონდოსი შეტორტმანდა, ხელები კისერზე შემოასალტა მოწინააღმდეგეს და მუხლებზე დაეცა, პირი ფართოდ დააღო, გულმკერდი გამოებერა, ხრიალი აუვარდა, სუნთქვა შეეკრა. ასე გაგრძელდა არაუმეტეს ხუთი წამისა. ლონდოსი კვლავ ფეხზეა, იფურთხება, პირიდან სისხლი სდის.

უცბად ლონდოსი იატაკზე გაიშხლართა: მარშალმა ფეხის წამოდებით დასცა. ლონდოსმა თავი დაარტყა იატაკს. მარშალი კატასავით დაახტა წაქცეულს. ჯახირი, კვნესა და... ორივე მოჭიდავე ფეხზეა. მარშალმა ვერ გამოიყენა უპირატესობა, ლონდოსმა მოიგერია შეტევა.

უკვე ნათელი გახდა მოჭიდავეთა ხასიათი. მარშალი აგრესიული სკოლის წარმომადგენელია „რესლინგში“, რომელიც სულ მუდამ შეტევაზე გადადის და თავგამეტებით ურტყამს მეტოქეს, არ აძლევს ამოსუნთქვის საშუალებას. ლონდოსი კი, პირიქით — სიფხიზლისა და წინდახედულობის განსახიერებაა, ოღონდ ნაკლებმოძრავია და ეს აშკარად უშლის ხელს.

ატმოსფერო სულ უფრო და უფრო დაიძაბა. ფერმკრთალი, დაჭიმული და კისერწაგრძელებული სახეები კვამლის სქელ ნისლში ცურავენ. მაყურებელთა უმრავლესობა ფეხზეა. ისინი რინგზე მიჯაჭვულ ანთებულ თვალებს წამითაც არ აშორებენ მოჭიდავეებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

---

„რესლინგი“ (ინგლისურად) თავისუფალი თარგმნით ნიშნავს „სტაცე როგორც შეგიძლია“.

# თეირანის ფიცარნაგზე

თეირანში 8 ნოემბერს დაიწყო მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი სიმძიმეების აწევაში, რომელიც მიმდინარეობს ახლახან აგებულ „სალონ მოჰამედ რეზა შაჰის“ დარბაზში. შეჯიბრების გახსნის ცერემონიალს დაესწრო უამრავი მაყურებელი, მათ შორის ირანის შაჰი მუჰამედ რეზა ფეხლევი.

ინტერესი ჩემპიონატისადმი, რომელშიც მონაწილეობენ 21 სახელმწიფოს უძლიერესი შტანგისტები, უდიდესია. ირანის პრესა, რადიო, ტელევიზია დიდ ადგილს უთმობენ მსოფლიო ჩემპიონატის გაშუქებას. როგორც ყოველთვის, ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდების ბრძოლა.

ჩემპიონატი დაიწყო მსატე წონის ატლეტთა შეჯიბრებით. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია საბჭოთა ძალოსანმა ვ. სტოგოვმა, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი შესანიშნავი შედეგით სამჭიდის ჯამში — 345 კგ. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია და ამერიკელი ჩ. ვინჩის ძველ რეკორდს აღემატება 2,5 კილოგრამით. გარდა ამისა, სტოგოვმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში — 105 კგ. მსოფლიო ჩემპიონის შედეგები სხვა მოძრაობებში ასეთია: აჭიმვა—107,5 კგ, აკვრა — 132,5 კგ.

მეორე და მესამე ადგილები ამ წონაში დაიკავეს ირანელმა სპორტსმენებმა სარურამ და ნამდიუმ.

ქვემსუბუქ წონაში დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი მსოფლიო რეკორდსმენს ი. ბერგერსა (აშშ) და ე. მინაევს (სსრ კავშირი) შორის. უკვე პირველ მოძრაობაში, აჭიმვაში მინაევმა აჩვენა სარეკორდო შედეგი — 117,5 კილოგრამი, მაგრამ შტანგის საკონტროლო აწონვისას აღმოჩნდა რომ იგი უდრიდა 117,2 კილოგრამს და არსებული წესის თანახმად მინაევს ჩაეთვალა 117,0 კგ. მინაევმა დაამყარა აგრეთვე მსოფლიო რეკორდი სამჭიდის ჯამში — 362 კგ და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. მეორე ადგილი წილად ხვდა იტალიელ ძალოსან მანმირონს — 352 კგ. ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი ი. ბერგერი გამოვიდა მხოლოდ მესამე ადგილზე.

მორიგი ოქროს მედალი საბჭოთა კავშირის გუნდს მოუტანა მსუბუქი წონის ატლეტმა ვ. ბუშუევმა, რომელმაც სამჭიდის ჯამში დააგროვა 380 კილოგრამი (120+117,5+142,5). მეორე ადგილზე ამ წონითს კატეგორიაში გამოვიდა ბულგარელი ძალოსანი აბაჯიევი — 372,5 კგ. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ჩეპურკოვსკი — 372,5 კგ.

## ორი რაიონის ფიზკულტურელთა სპარტაკიადა

აბაშის სპორტულ ბაზებზე ორ დღეს გრძელდებოდა აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ფიზკულტურელთა სპარტაკიადა მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი. პროგრამაში იყო კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, მძლეოსნობა და სროლა. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს აბაშელმა სპორტსმენებმა.

ი. თოფურია,
გ. გვაზავა.



## მსოფლიოს ჩემპიონები და საჭადრაკო კომპოზიცია

### ე. ლასკერი

საჭადრაკო კომპოზიციას ბევრ დროს უთმობდა მსოფლიოს მეორე ჩემპიონი ემანუილ ლასკერი (1868-1941 წწ), რომელსაც მრავალი ამოცანა და ეტიუდი აქვს შედგენილი. სამწუხაროდ, ლასკერის საკომპოზიციო ნაწარმოებნი ჯერჯერობით არ არის ერთად თავმოყრილი და გამოცემული.

ე. ლასკერის ორი და სამსვლიანი ამოცანები ღრმა იდეური არიან



შამათი 2 სვლაში

### ხ. კაპაბლანკა

საკვირველია, რომ დაპოლოებ უბადლო ვირტუოზი მსოფლიოს მ სამე ჩემპიონი ხ. კაპაბლანკა (1888-1942 წწ) კომპოზიციისადმი (შედგ ნისადმი) არ ამჟღავნებდა მისწრაფებას. სამაგიეროდ, ხ. კაპაბლან გატაცებით და იშვიათი სიმსუბუქი ხსნიდა ამოცანებსა და განსაკუთრ ბით ეტიუდებს.

როგორც კაპაბლანკამ განაცხა 1935 წელს მოსკოვში ყოფნისას, მ მხოლოდ ახალგაზრდობაში ა შედგენილი ერთი ეტიუდი, რომელ საც აქვე ვაქვეყნებთ. ეს ეტიუ პირველად დაიბეჭდა 1908 წელს.



თეთრები იწყებენ და იგებენ

1. მფc4 მფa5 2. მფ:c5 მფa6 მფ:c6 მფa7 4. მd5! ეh2 5. მc3 f5 ეb7+ მფa6 7. ეb6+ მფa5 8. ეb მფa6 9. ეb4 მფa7 10. მb5+ მ 11. მd6+ მფa8 12. მc4 ეa2 13. მ ეa7+ 14. მფc8 ეa6 15. ეb8+ მ 16. ეb7+ მფa8 17. მb6+ ე:b6 ე:b6 მფa7 19. ეb2 f4 20. მფc7 მ 21. მფc6 მფa5 22. მფc5 მფa4 მფc4 მფa3 24. ეb2 მოგებით.

## ვილნიუსში გაემგზავრ

16 ნოემბერს ლიტვის დედაქ ვილნიუსში დაიწყება საბჭოთა კ რის 1957 წლის ქალთა —საჭად პირველობა. ამ ჩემპიონატში, მელიც აგრეთვე მსოფლიო ჩემ ნის სახელის პრეტენდენტთა ტუ რის შესარჩევი შეჯიბრება, მონ ლეობას მიიღებს 20 მოჭადრაკე. გორც ცნობილია, ამ დიდ ტურნ მონაწილეობის უფლება მოპოვებ აქვთ საქართველოს ჩემპიონს ე. ბაძეს და ნ. გაფრინდაშვილს.

გუშინ ე. კაკაბაძე, ნ. გაფრ შვილი და ოსტატი მ. შიშოვ ემგზავრნენ ვილნიუსში.

რედაქტორი ი. უზულ

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

უე 026